# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვეე | მან. კ. | თვეე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ: თვითონ რედაქციას თრელინის ქუჩა, ბასტამოვის სახლი, № 5, ხიდველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზე.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1888 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1888



სახლობა განსვენებულის დიმიტრი ივანეს ძის ყიფიანისა სთხოვს ნათესავთა, ნაცნობთა და პატივისმცემელთა განსვენებულისათა მობრძანდნენ წლის წირვაზე, მთაწმინდის მამა დავითის ეკკლესიაში, განსვენებულის მოსახსენებლად კვირას, 23-ს ამა ოქტომბრისას, დილის ათს საათზე. (2—2)


## რედაქციისაგან

დღეს, შაბათს, რადგან დღესასწაულია, კვირას, როგორც დღესასწაულის შემდეგ დღეს, გაზეთი არ გამოვა. გაზეთი არც ორშაბათს უნდა გამოსულიყო, რედაქციის მიერ გამოცხადებულ პირობისამებრ, მაგრამ რადგანაც წარსულს კვირას ჩვენს მკითხველებს ერთი ნომერი დააკლდათ, იმის შესავსებლად ორშაბათს გაზეთი გამოვა.

ტფილისი, 21 ოქტომბერი

დიდი ხანია, რაც კაცობრიობა დარწმუნდა, რომ სწავლა-განათლება ქვა-კუთხედია ადამიანთა კეთილდღეობისა და წარმატებისა. გამოჩენილმა ფიხტემ სთქვა: სიმდიდრე და მრეწველობა ერისა უმთავრესად დამოკიდებულია იმაზე, თუ რას აძლევს ერს სკოლაო. ამ აზრს მტკიცედ აქვს ფეხი მოკიდებული მთელს ევროპაში და მუდმივ იმასა ჰზრუნავენ, რომ სკოლა, რამდენადაც შესაძლოა, შეუფერონ ერის საჭიროებასა და ვითარებას. ამ ცდამ თავისი ნაყოფი მოიტანა და იქ, სადაც სკოლა რიგიანადა და გონივრულად მოწყობილია, ერის სიმდიდრეცა და მრეწველობაც მეტია. სწავლა-განათლებამ ფეხზე დააყენა და ააყვავა მთის მრეწველობა, მეურნეობა, ხელოსნობა და სხვანი იმ ზომამდე, რომ ამ მხრით დაწინაურებულმა ერებმა თითქმის სრულიად დაისაკუთრეს მსოფლიო ბაზარი. სამაგიეროდ იქ-კი, სადაც ხალხის ეკონომიურს ყოფა-მდგომარეობას, მრეწველობას ხელს ან სრულიად არა და ან ნაკლებად უმართავს სწავლა-განათლება, ერს ხშირად ეწვევა ხოლმე საეკონომიო კრიზისი და საეკონომიო ყოფა-მდგომარეობა არამც თუ ნებას არ აძლევს მსოფლიო ბაზარზე გამოვიდეს, არამედ ყოველის მხრით და ყველგან გზას უკრავს.

კარგა ხანია, რაც რუსეთის მმართებლობა და მწერლობა ამ საგანზე ბჭობს და მუდამ სჩივის საეკონომიო კრიზისს, რომელიც გზაზე ეღობება ერის წარმატებას. ამ ბჭობას თავისი ნაყოფი მოაქვს იმით, რომ საზოგადოებაში ფეხს იკიდებს უფრო სამართლიანი აზრი სწავლა-განათლების შესახებ და აქა-იქ აარსებენ უფრო რიგიანად მოწყობილს სამეურნეო და საპროფესიო სკოლებს. მმართებლობა და საზოგადოება შეძლებისამებრ ილვწვიან, რომ საპროფესიო სწავლა-განათლებას ხელი შეუწყონ. როგორც მოგეხსენებათ, მმართებლობას განზრახული აქვს გამართოს სამეურნეო და სამრეწველო სასწავლებლები ისე, რომ ეს სასწავლებლები თვითოეულს შემთხვევაში შეუფეროს ადგილობრივს საჭიროებასა და მკვიდრთა ყოფა-მდგომარეობას. ამ საქმეში ზოგიერთმა ერობამ დიდი მხნეობა და გამჭრიახობა გამოიჩინა ასე, რომ დღეს ზოგი სასწავლებელი სამაგალითო გამხდარა.

ამ საქმეში მეტად დიდი სამსახური მიუძღვის პერმის გუბერნიის ერობას, რომელმაც 1875-ს წელს გამართა კრასნოუფიმსკში რეალური სასწავლებელი, პერმის გუბერნიის ვითარებასთან შეფერებული. პერმის გუბერნია მეურნეობისა და სამთო მრეწველობის ადგილია და ამიტომ სასწავლებელშიაც ორი განყოფილება გამართეს: სამეურნეო და სამთო. ეს კიდევ არაფერი; ეს აზრი მაინცა-და-მაინც ძნელი მისახვედრი არ იყო. პერმის ერობა იმით არის საყურადღებო, რომ მან ბეჯითად შეისწავლა ხალხის ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა და არ შეჩერდა ერთხელვე აღიარებულს პროგრამაზე და იმ აზრს მისდევდა, რომ თანდათან, უფრო და უფრო შეუფეროს კრასნოუფიმსკის რეალური სასწავლებელი მკვიდრთა საჭიროებას, კრასნოუფიმსკის სამაზრო ერობამ შეიგნო, რომ მარტო თეორიტიული სწავლება მეურნეობისა და სამთობა მრეწველობისა მაინცა-და-მაინც თვალ-საჩინო კვალს ვერ დააჩნევდა მკვიდრთა ეკონომიურს მდგომარეობას. ამიტომ ერობამ სასწავლებელს გაუმართა საკმაოდ ვრცელი ფერმა, სახელოსნო, სადაც კეთდება სხვა-და-სხვა სამეურნეო იარაღი და მაშინა. დღეს ყველა ცხადად ჰხედავს, რომ ფერმას დიდი ზედ-მოქმედება აქვს მკვიდრთა მეურნეობაზე სახელოსნომაც სახელოვნად იჩინა თავი; პერმის გუბერნიის საშინაო მრეწველთა ნახეს რა, რომ სამეურნეო მაშინები და იარაღები აორკეცებენ მოსავალს, თითონვე იწყეს ამ მაშინებისა და იარაღების კეთება და დღეს მთელის პერმის გუბერნიის გლეხობაში ხშირად შეხვდებით ადგილობრივად, სოფლად ნაკეთებს მაშინებს, რომელთაც ხალხი ხალისით ჰყიდულობს და ჰხმარობს. მაგრამ ერობა არც ამას დასჯერდა: ერობამ დაინახა, რომ ხალხს არ შეუძლიან მარტო თავისის მამა-პაპურის ცოდნით გაუძღვეს მეურნეობასა და თავი დააღწიოს საეკონომიო კრიზისს. ერობა დარწმუნდა, რომ ხალხს ხელმძღვანელი ეჭირება და ამიტომ დააარსა ეგრედ წოდებული მეურნე-ზედამხედველთა ინსტიტუტი. ამ აზრის მიხედვით სასწავლებელმა იწყო პრაქტიკოს აგრონომების მზადება, რომლებიც, სწავლის დამთავრების შემდეგ, ინიშნებიან მაზრებში, სოფელ-სოფელ დადიან და ხალხს ასწავლიან სამეურნეო მაშინებისა და იარაღების ხმარებას და მავნე მწერებთანა და ჭიებთან ბრძოლას, რომელნიც სრულიად ანადგურებენ მოსავალს. აგრეთვე ეს აგრონომები იკვლევენ ყოველს საჭიროებას ხალხისას და ყოველსავე ამას ატყობინებენ თვით ერობასა და სასწავლებელს. ამ მეურნე-ზედამხედველთა მეოხებით, დღეს პერმის გუბერნიაში, ის, რასაც წინად გვალვა, მწერი, ან ჭია აფუჭებდა, მთლად გლეხსა რჩება, ასე რომ წლიურმა მოსავალმა ერთი-ორად იმატა. ეხლა სტატისტიკურად დამტკიცებულია, რომ პერმის გუბერნიის მკვიდრთა ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა, რომელიც ამ თხუთმეტიოდე წლის წინად უკიდურეს მდგომარეობაში იყო, დღეს საკმაოდ მაღლა სდგას. შესანიშნავი ის არის, რომ ეს ახალგაზდა ზედამხედველები არა სჯერდებოდნენ მარტო ახალის სამეურნეო წესისა და რიგის სწავლებასა და ახალის მაშინების გავრცელებას. ზედამხედველებმა ყურადღება ათხოვეს თვით მამა-პაპურს ცოდნასაც და კიდეც ისარგებლეს ხალხის გონიერებითა და გამოცდილებით. საქმე ის არის, რომ ალაგ-ალაგ ზოგი ახალი სამეურნეო მაშინა გამოუსადეგარი

---

# ფელეტონი

## უცხოთა შორის

სიცოცხლე მაინც ტკბილია! — უკვდავების იმედი გადავიწყვიტოთ! — სიცოცხლის მომნიჭებელი ელექსირები. — ას წლოვანნი მოხუცნი. — 180 წლის მოხუცი. — ვინ უფრო მეტსა სცოცხლობს, დედაკაცი თუ მამაკაცი? — საყურადღებო ცნობები. — სიმდიდრე ჰმატებს ადამიანს სიცოცხლეს? — რა გამოდის მაგალითებიდამ...

დეე შოპენჰაუერმა ილაპარაკოს რამდენიც უნდა, რომ სიცოცხლე დიდი უბედურებაა, ბოროტია, წყევაა, მიუტევებელი ცოდვა, ადამიანისაგან ნაანდერძევიო; დეე იქადაგოს სიცოცხლის არარაობა, არ-ყოფნის ნეტარება; დეე თავის მკვლელებმა სწერონ მოკლე ბარათები, რომ „სიცოცხლე მომბეზრდა“, „არა ღირს ადამიანმა იცოცხლოსო“, — ადამიანი მაინც არ დაუჯერებს ამათ და ეტყვის:

თქვენ, ბატონო ფილოსოფოსო, და თქვენც, სიცოცხლის ყარ-მყოფელნო და არ-ყოფნის მონატრულნო, როგორც გნებავდეთ, — ხელს ვერ დაგიჭერთ, — და ჩვენ-კი არ ვესწრაფებით: — ისეც წუთიერია, ხან მოკლე ჩვენი სიცოცხლე! მოვა დრო და ჩვენი ხვედრი არ აგვცდება! წუთი-სოფელს ხომ არავინ შეჰბერებია!

თქვენ გძულთ ეს წუთი-სოფელი და ეჩქარებით მოშორებას. სად მიეშურებით? გვითხარით, აჩრდილს როგორ გინდათ ხელი წასჭიდოთ? და განა აჩრდილი, ოცნება არ არის ის „არ-ყოფნის“, „უარარაობის“ ნეტარება, რომელსაც თქვენ ეტრფით?!.

არც ჩვენ მოგვწონს ძლიერ ეს წუთი-სოფელი: — ბევრისთვის გაუმწარებია, ჩაუშხამებია სიცოცხლე, ბევრისათვის უწყევლინებია თავი და ბედი, ბევრისათვის უნატვრინებია კიდეც სიკვდილი, მაგრამ, როდესაც სიკვდილი კარს მომდგარა, ადამიანს უკან დაუწევია, — რადა? რადა და იმიტომ, რომ რაც უნდა მწარე და უხამსი იყოს ეს სოფელი, მაინც სიცოცხლე ტკბილია და თვით უტკბეს სიკვდილსა სჯობია. ადამიანის სიცოცხლეს რომ დასასრულიც არა ჰქონდეს, მგონი, მაშინაც-კი არავინ ინატროს სიკვდილი. მაგრამ რადგანაც „უკვდავების წყალი“ მხოლოდ არაკებში იხსენიება და ნამდვილად-კი არავის უნახავს და, მაშასადამე, არც არავის უცდია იმისი სასწაულთ-მომქმედი ძალა, ამიტომ ჯერ-ჯერობით „უკვდავების“ იმედი უნდა გადავიწყვიტოთ. დღეს იმასაც დიდს მადლობას ვეტყოდით, ვინც ისეთს რამე ღონეს, წამალს მოიგონებდა, რომ ადამიანის სიცოცხლე ცოტა მეტი, ხანგრძლივი მაინც იყოს.

ასეთი წამალი ჯერ არ არის მოგონილი, თუმცა ძებნით-კი დიდი ხანია ეძებენ. სხვა-და-სხვა გვარად შეზავებული წამლები, ესრედ წოდებული „სიცოცხლის მომცემი ელექსირები“, რომელიც ვითომ სიცოცხლეს ჰმატებს ადამიანს, მოხუცს აახლებს, აჭაბუკებს, ძველის-ძველადგანვე აქვს კაცობრიობას ნაანდერძევი. არაბნი, ეგვიპტელნი, ინდოელნი და ჩინელნი დღესაც ჰხმარობენ ამ წამლებს. ბევრს სწამს კიდეც ყოვლად-შემძლებელი ძალა „ელექსირებისა“.

ან-კი შორს წასვლა რა საჭიროა, — სულ ორმოცი წელიწადი არ იქნება მას შემდეგ, რაც ერთი ვილაც კორდანი დარწმუნებული ამბობდა, რომ თუ ადამიანს უნდა დიდხანს იცოცხლოს, რაც შეიძლება ნაკლებად უნდა მოძრაობდესო. მაგალითად მოჰყავს ხე, რომელიც დიდს ხანს იმიტომ სცოცხლობსო, რომ ერთს ადგილასა სდგას უძრავადაო.

კორდანს, რასაკვირველია, ბევრმა არ დაუჯერა: — ჯერ ერთი, რომ ყველა ხე დიდხანს არა სცოცხლობს, და მეორე კიდევ, რომ „გახევება“ განა ისევ ის სიკვდილი არ არის?

სხვები კიდევ ურჩევენ ადამიანს კარგს ყოფა-ცხოვრებასა და მეტადრე ქალწულად თავის შენახვას ოც-და-ათ წლამდე, ვიდრე ადამიანის აგებულება სრულიად არ გამაგრდებაო.

ეს უფრო ჰგავს ახლოა, თუმცა, გვგონია-კი, რომ სიცოცხლის მომცემ ელექსირად არც ეს ჩაითვლება.

**

დავანებოთ თავი „სიცოცხლის მომნიჭებელ ელექსირებს“, „ხევების მიმსგავსებას“, „ქალწულად თავის შენახვას“, — ამ წამლების სარგებლობა საეჭვოა, — სჯობს ისევ მივმართოთ იმათ, ვისაც ხანგრძლივი სიცოცხლე წილად ჰხვედრია, ვისაც ასი და მეტი წელი უცხოვრია ამ ქვეყნად. ვკითხოთ, იქნება იმათ მაინც გვასწავლონ რაიმე წამალი.

აი, მაგალითად, საფრანგეთის მეცნიერი ქიმიკოსი, აკადემიკოსი შევრელი, რომელსაც ამ დღეებში ას სამი წელი შეუსრულდა. ეს ბედნიერი ას წლოვანი მოხუცი დღესაც ჰარმაგად არის და გვარწმუნებს, რომ ყველას შეუძლიან მიაღწიოს ამ წლოვანობას, ოღონდ კაცი თავის მოვლას-კი ეცადოსო.

მერე რაში უნდა მდგომარეობდეს ეს თავის მოვლა?

შევრელი ამაზედ მხოლოდ იმას გვიპასუხებს, რომ მე ჩემს სიცოცხლეში თევზი არ მიჭამია, ღვინო არ დამილევია და თამბაქო არ მომიწევიაო.

მეტი არაფერი? ნუ თუ ეს საკმაოა ადამიანის ხანგრძლივ სიცოცხლისათვის? იქნება ტყუილად ცილსაცა სწამებდეს შევრელი თევზსა, თამბაქოსა და მეტადრე ჩვენს ღვინოს?..

აი მეორე მოხუცი ინგლისელი, რომელიც ამ ხანებში ლორდს ჩერჩილს წარუდგინეს თურმე. ჩერჩილს ეს მოხუცი ეგრე სამოც-და-ათის წლის კაცი ეგონა, მაგრამ როდესაც თვით მოხუცსა ჰკითხა, მოხუცმა ეს უპასუხა:

— წლოვანებას რად მაკლებთ, ბატონო, მე ას თვრამეტის წლისა გახლავართ და ოთხი ვერსი ფეხით გამოვიარე, რომ თქვენთვის პატივი მეცა.

ამ მოხუცის მამაც ას ათის წლისა მომკვდარა და ისიც შემთხვევით, — ცხენიდგან გადმოვარდნილა.

— ეს უბედურება რომ არ შემთხვეოდა, — ამბობდა თურმე მოხუცი: — მამაჩემი უფრო მეტს იცოცხლებდაო. მე-კი დღესაც ჯანმთელადა ვარო, სათვალეებს არა ვხმარობ, თვალი ისეც მიჭრის, კბილები შემრჩა და მუხლში ისე მაგრა ვარ, რომ ყოველ დღე ოთხს ვერსს გავივლი ხოლმე ფეხითაო. ცოტა ის მაწუხებს და მაღონებს, რომ უსაქმოდა ვარ. მინდა რაიმე საქმეს მოვკიდო ხელი, მაგრამ მეშინიან, ვაი თუ არხად მამილონ, ბებერი ხარო, მეტყვიან.

ეს მოხუცი როგორღა უვლიდა თავსა? შევრელივით აზიზი არა ყოფილა: რაც მოხვდებოდა, იმასა ჭამდი, ღვინოზედაც უარს არ ამბობდიო.

**

მესამე მოხუცი უფრო კიდევ ხნიერია. ამერიკაში აღმოჩენილა ერთი

გამოდგა თვით ნიადაგის თვისების გამო. ამიტომ ზედამხედველებმა გამოიყენეს ხალხისავე ზოგი იარაღი, განაკარგეს იგი, რაც აკლდა, შეჰმატეს და ამ ნაირად ეს ძველი, ხოლო შეკეთებული და განკარგებული იარაღი წინანდელზე უკეთ სახმარებელი გამოდგა.

მეორე განყოფილებაც სასწავლებლისა ამ ნაირადვე კარგად არის მოწყობილი და დაყენებული. პერმის გუბერნია განთქმული არის თავისის სამთო მრეწველობით. ურალის სამთო ქარხნები განთქმულია მთელს რუსეთში და სასწავლებელმა ამ ქარხნების კარიც გაუღო თავისს მოწაფეებს. სასწავლებელში სწავლა-დასრულებულმა ყმაწვილებმა, რომლებსაც შესწავლილი ჰქონდათ სამთო საქმე და მრეწველობა, იწყეს ქარხნებში სამსახური, მაგრამ მოკამათობა ვერ გაუწიეს ქარხნის მოხელეთა. საქმე ის არის, რომ ამ ქარხნებში თანამდებობა მემკვიდრეობით გადადის თაობიდგან თაობაზე და ამიტომ ახალგაზდა ყმაწვილებს შესაფერს ადგილებს არ უთმობდნენ. საქმე იმ ზომამდე მივიდა, რომ კრასნოუფიმსკის სასწავლებლის შეგირდები თითქმის სრულიად განაძევეს ქარხნებიდგან. მაშინ სასწავლებლის მთავრობა ჩაუკვირდა ამ გარემოებას და ისეთი ღონე აღმოაჩინა, რომ იმისმა შეგირდებმა საპატიო ადგილი დაიჭირეს ქარხნებში. სასწავლებლის მთავრობამ ისარგებლა იმ გარემოებით, რომ ქარხნებს კარგი, მცოდნე ქიმიკოსები ეჭირებოდათ და ამიტომ სასწავლებელში იმდენად განაძლიერეს ქიმიის სწავლება, რომ ამ ჟამად ახალგაზდა ქიმიკოსებს მექარხნეები დიდის სიამოვნებით იწვევენ სამსახურში, რადგანაც ქიმიის ცოდნის მემკვიდრეობით გადაცემა ყოვლად შეუძლებელია. როგორც ჰხედავს მკითხველი, კრასნოუფიმსკის რეალური სასწავლებელი იმითი არის შესანიშნავი, რომ იგი თვალ-ყურს ადევნებს მკვიდრთა საჭიროებასა და ეკონომიურს ყოფა-მდგომარეობას და არა სჯერდება ჩვეულებრივს პროგრამას. ამიტომაც იგი თანდათან მატულობს და იზრდება, რაც აკლია, იმას ივსებს, ერთის სიტყვით, ცხოვრებას კვალში უდგას და ყოველს მოთხოვნილებას ცხოვრებისას ყურადღებას ათხოვებს. აი, ეს არის იმისი მიზეზი, რომ ზოგს სხვა ერობასაც განუზრახავს კრასნოუფიმსკის სასწავლებლის მაგალითითა და გამოცდილებით ისარგებლოს და იმ ნაირივე სასწავლებელი გამართოს თავისათვისაც.

ვინ იყო უმთავრესი მოქმედი ამ ფრიად კეთილს საქმეში, თუ არ ერობა, რომელიც, ვითარცა კარგი მცოდნე ადგილობრივის ყოფა-მდგომარეობისა, ბეჯითადა და სინიდისიერად მოღვაწეობს საერო განათლების სარბიელზე. ამით ერობამ საქვეყნოდ დაამტკიცა, რომ, რაც უნდა ილაპარაკონ საზოგადოდ ერობის წინააღმდეგ, თვით-მოქმედება საზოგადოებისა და თვით-აზროვნება უმთავრესი ღონეა ადამიანთა წარმატებისა.

ა. ნა—ლი

---

# ახალი ამბავი

⁂ მათ უდიდებულესობათა კავკასიაში მობრძანების სახსოვრად უმაღლესად ებოძათ საჩუქრები „გულ-მოდგინეობისათვის“ ტფილისის გუბერნიაში: ოქროს მენდლები ყელზე სატარებელი—თიანეთის მაზრის ჩაფრების ურიადნიკს მილიციის იუნკერს გიორგი ჯახაძეს, ტფილისის მოქალაქეს გრიგოლ კონიევს, ტფილისის მეორე გილდიის ვაჭარს პავლე გრიტიშვილს, ახალციხის მაზრის სოფ. ღელოვანის გლეხს ჯასან-ოსმან-ოღლის, სიღნაღის მაზრის სოფ. ველისციხის მცხოვრებს ალექსანდრე ქალანთაროვს და საპატიო მოქალაქეს ახალციხისას ჯაირაპეტ გრიგორიანცს.

ვერცხლის მენდლები «გულ-მოდგინეობისათვის» ყელზე სატარებლად ებოძათ: ახალციხის სამაზრო ყადის ჯამიდ-ეფენდი-იზატ-ეფენდი-ზადეს; იგივე ორდენი სტანისლავის ლენტზე—თელავის მაზრის სოფ. კალაურის მამასახლისს ზაქარია კაპანაძეს, თელავის მაზრის ურიადნიკს თავ. გიორგი სიდამონოვ-ერისთავს და ტფილისის მაზრის ურიადნიკს ზიზო მაყაშვილს.

ოქროს მენდლები „გულ-მოდგინეობისათვის“, გულზე სატარებელი, ანნას ლენტზე—სოფ. ყიზილ-აჯლოს ალალარს, ბორჩალოს მაზრისას, ზალაბეგ-ნავრუზოვს, გორის მაზრის ჯავის საზოგადოების მამასახლისს—გიბილო სენაკოშვილს, კალატოზთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს იაგორ ავრიმოვს, ტფილისის მოქალაქეს იაგორ აკოპოვს, სიღნაღის მოქალაქეს ამირან შავერდოვს, თიანეთის სოფლის საზოგადოების მამასახლისს ზაქარია ბუცანკალურს, წინანდალის მამასახლისს იოსებ სოჭინაშვილს, თელავის მცხოვრებს ნიკოლოოზ ყაზახოვს, ახალქალაქის მაზრის მემამულეს ჯასანფაშა კიამალოვს, სიღნაღის მცხოვრებს ნიკოლოოზ ყულიჯანოვს.

ოქროს მენდლები სტანისლავის ლენტზე: მექუდეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მცხოვრებს სერგეი კავალოვს, მჭედელთა ამქრის უსტაბაშს ახალციხის მცხოვრებს სტეფანე სტეფანოვს, ოქრომჭედელთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ივანე ნარიმანოვს, მეფურნეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მცხოვრებს კარაპეტ კოზანჯიანცს.

ვერცხლის მენდლები „გულ-მოდგინეობისათვის“, გულზე სატარებელი, ანნას ლენტზე: კარდანახის მამასახლისს გიორგი სამადაშვილს, ევროპიელ მექუდეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ესტატე მაისურაძეს, დერციკთა ამქრის უსტაბაშს გიორგი ნიკარაძეს, მღებრების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს სარქის თომაევს, ხარაზების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ივანე ჩინჩალაძეს, მეთოფეთა და მეჩახმახეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ივანე სარუხანოვს, პარიკმახერების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს სულხან საგინოვს; იგივე ორდენი სტანისლავის ლენტზე: დაბაკნეთის საზოგადოების მამასახლისს, დუშეთის მაზრაში, ზაქარია ხუციშვილს, ქურქჩების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ივანე ბაბიევს, ყაზაზების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს არუთინ მანუკოვს, დაბლების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს გრიგოლ გრიგოლოვს, კარეტის ოსტატების ამქრის უსტაბაშს კარლოს გრეცინგერს, მეძეხვეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ივანე საპილოვს, მეზურნეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ატიკო იანშაგოვს, დალაქების ამქრის უსტაბაშს ტფილისის მოქალაქეს ზაქარია ბუტიკოვს, სოფ. ხაშმის გლეხს სიმონ ნასუცრიშვილს, თუქურმიშის მცხოვრებს ქედოკიმ მატიცინს, ცხინვალის მამასახლისს გასილ შარმაზანოვს, დუშეთის მაზრის ახალგორის მცხოვრებს ალექსანდრე ტერტეროვს, ახალქალაქელ მოქალაქეს ივანე არუთინოვს, ახალქალაქის მაზრის სოფ. კარტიკამის გლეხს მოსესა ელიზბაროვს, ბორჩალოს მაზრის სარვანის მამასახლისს ორუჯა კიალაოღლის, დუშეთის მოქალაქეს ანდრია გრიგოლოვს, სოფ. ურიათუბანის გლეხს ანდრია ლაზარაშვილს, დუშეთის მაზრის სოფ. კობის მცხოვრებს ალექსი მისოვთოვს.

ვერცხლის მენდალი „გულ-მოდგინეობისათვის“ ყელზე სატარებელი ანნას ლენტზე: კონსტანტინოვის მამასახლისს, ტფილისის მაზრაში, სამსახურიდგან გადამდგარს უნტერ-ოფიცერს ვასილ ფადეევს.

ვერცხლის მენდალი „გულ-მოდგინეობისათვის“ გულზე სატარებელი სტანისლავის ლენტზე: მეყდეთა ამქრის უსტაბაშს ტფილისის მეორე გილდიის ვაჭარს ოტტო ზიბერტს, ბორჯომის საზოგადოების მამასახლისს გლეხს დავით შავჩენკოს.

ქუთაისის გუბერნიაში: ოქროს მენდალი „გულ-მოდგინეობისათვის“ ანნას ლენტზე გულზე სატარებელი: ამაშუყეთის საზოგადოების მამასახლისს შორაპნის მაზრაში ხასულა სულაქველიძეს.

ვერცხლის მენდლები „გულ-მოდგინეობისათვის“ გულზე სატარებელი

---

ას ოთხმოცის წლის მოხუცი, რომელიც ვითომ განგებ იკლებს კიდეც წლოვანებას. ამ მოხუცის მეზობელი არწმუნებდა თურმე ერთს ისპანიელს ექიმს, რომ მე ჯერ ისევ პატარა ვიყავი, როდესაც ეგ მათუსალა ასის წლის მოხუცად ითვლებოდაო. ერთს მონასტრის 1712 წლის საქმეებში უპოვნიათ ქაღალდი, რომელზედაც ამ მათუსალას ხელი ჰქონია მოწერილი.

ზემოდ ნახსენები ისპანიელი ექიმი, რომელსაც ეს საკვირველი მოხუცი თავისის თვალით უნახავს, მოგვითხრობს, რომ როდესაც პირველად მივედი სანახავად, მოხუცი ბაღში დამხვდა და მუშაობდაო. სახე ისე ჰქონდა დაღმეჭილი და დაჭმუჭნული, თითქო სპილოს ტყავი გადუცვამთ ტანზედაო. გძელი, ბამბასავით თეთრი თმა მატყლივით ედვა თავზედაო. მოხუცის ცოცხალმა და მოძრავმა თვალებმა ხომ შემზარესო, ისე არ უხდებოდა იმისს დახავსებულს სახეს თვალების სიცოცხლეო.

ამას როგორღა გაუვლია გრძელი გზა ცხოვრებისა?

— დღეში მხოლოდ ერთხელ ვჭამდიო,—უთქვამს მოხუცს:—ჩემი საჭმელი ყუათიანი და უთუოდ ცივი უნდა ყოფილიყო; თვეში ორჯელ, ყოველ პირველსა და შუა რიცხვებში, უთუოდ ემარხულობდი, მარხულობის დროს ნაწილს არ ჩავუშვებდი პირში, წყალს-კი რამდენიც შემეძლო, იმდენსა ვსვამდიო.

რა გამოდის ამ მაგალითებიდგან? ორი-სამი მაგალითი, რასაკვირველია, ბევრის არაფრის მომასწავებელია, ორი-სამი მაგალითი საკმარისი არ არის, რომ ადამიანმა ამათის მიხედვით იცხოვროს და ამ გზით ხანგრძლივი სიცოცხლე მოიპოვოს. ჯერ-ჯერობით ისიც ვიკმაროთ, რომ მეცნიერებმა ყურადღება მიაქციეს და ცნობების შეკრება დაიწყეს. აი, მაგალითად, ერთს ფრანგულს სამეცნიერო ჟურნალში დაბეჭდილია ცნობები ას წლოვან მოხუცებზე. გამოვა რამე აქედამ თუ არა, მეცნიერება გაიკვლევს გზასა და გვიჩვენებს ისეთს ღონეს, რომელიც ადამიანს სიცოცხლეს შეჰმატებს, თუ ვერა, ამისას ვერას ვიტყვით. იმას-კი ვიტყვით, რომ ყველა ამასაც რომ თავი დავანებოთ, თვითონ ის ცნობები უამისოდაც მეტად საინტერესო და ყურადღების ღირსია.

⁂

აი თუნდა პირველი საყურადღებო ცნობა, რომ დედაკაცი უფრო მეტსა სცოცხლობს თურმე, ვიდრე მამაკაცი. ვინ მოიფიქრებდა? ამბობენ-კი, რომ დედაკაცი ნაზი და სუსტი ქმნილებააო, მაგრამ, ვინ იცის, იქნება კიდეც ეს სინაზე და სისუსტე უწყობდეს დედაკაცებს ხელსა? ან იქნება ისიც იყოს მიზეზი, რომ დედაკაცი უფრო უზრუნველს, მოსვენებულს ცხოვრებაშია, ვიდრე მამაკაცი? ასეა თუ ისე, არ ვიცით და შეკრებილ ცნობებიდამ-კი უტყუარადა სჩანს, რომ ოთხმოცდა-სამს ას წლოვანში ორმოცდა-თორმეტი, ე. ი. ნახევარზედ მეტი, დედაკაცი ყოფილა.

საყურადღებოა აგრეთვე, რომ ამ 52 დედაკაცში მხოლოდ ერთია თურმე ქმრიანი, ათი გაუთხოვარია და ორმოცდა-ერთიც ქვრივი.

მამაკაცებშიაც თითქმის ამასვე ვხედავთ. 31 ას-წლოვანში ორი ცოლიანია, ექვსი უცოლო და ოცდა-სამი ქვრივი.

ციფრები თვალ-წინა გაქვსთ,—აქედამ რა დასკვნაც გნებავსთ, ის გამოიყვანეთ.

⁂

ვერც იმას ვიტყვით, რომ სიმდიდრეს დიდი გავლენა ჰქონდეს ხანგრძლივს სიცოცხლეზე. მაგალითები-კი აშკარად გვიჩვენებს, რომ ას-წლოვანები უფრო ხშირად გამოდიან ღარიბებში, ვიდრე მდიდრებში.

აი, მაგალითად, ინგლისში ამ რამდენისამე წლის წინად ცნობები შეკრიბეს ას წლოვანებზე და სულ ოთხმოცდა-შვიდი აღმოჩნდა,—ამათში სამოცდა-ხუთი დედაკაცი და ოცდა-ორი მამაკაცი,—როგორცა ჰხედავთ, აქაც დედაკაცებს გადაუჭარბებიათ მამაკაცებისათვის,—და ამ 87 ას წლოვანში თორმეტმა სამადლო სახლებში გაატარა თურმე უკანასკნელი დღენი ცხოვრებისა და დანარჩენნიც თითქმის სულ ღარიბი მუშა ხალხი იყო.

საფრანგეთშიაც ას-წლოვანები უფრო მუშა ხალხია და მეტადრე სოფლის ხალხი, ხვნა-თესვის მიმდევარი. საფრანგეთის 83 ას-წლოვანებში მხოლოდ ერთია მდიდარი, ექვსს ცოტაოდენი შეძლება აქვს, შვიდი დღედღეურად გამოდის და დანარჩენნიკი ღარიბ-ღატაკნი არიან.

მოდი და ნუ იტყვი, რომ
ამა სოფლისა ცხოვრება
ვერცხლით არ მოიპოვება!

⁂

დიდი გავლენა ჰქონია ადამიანთ ხანგრძლივს სიცოცხლეზე ქვეყნის სხვადა-სხვა მხარეებსაც. ჩრდილოეთი და აღმოსავლეთი სიცოცხლეს უმოკლებენ ადამიანს; დასავლეთი-კი და მეტადრე სამხრეთი ერთი-ათად ჰმატებენ თურმე. აი, მაგალითად, საფრანგეთში, სამხრეთს ქვეყნებში ერთი-ათად უფრო მეტი ას-წლოვანი სცხოვრებს თურმე, ვიდრე სხვა მხარეებში.

ბედნიერნი ყოფილან სახრეთ ქვეყნების მცხოვრებნი! და რა ძნელი მოსაპოვებელია ეს ბედნიერება, თუ სამხრეთი ასე ჰმატებს ადამიანს სიცოცხლეს,—განა ძნელია თუნდ ჩრდილოეთიდგან, მაგალითად, ადამიანი სამხრეთისკენ გადასახლდეს? გადასახლება, რასაკვირველია, ძნელი არ იქნება, მაგრამ საქმე ის არის, რომ მარტო გადასახლება საკმაო არა ყოფილა. იმავ ცნობებიდამა სჩანს, რომ ადამიანი ხანგრძლივ მხოლოდ იმ ქვეყანაში სცხოვრობს, სადაც დაბადებულა. ას-წლოვანების მაგალითი აშკარად გვიმტკიცებს ამას: ვისაც-კი ას წლამდინ მიუღწევია, თითქმის არც ერთი იმათგანი თავისს სიცოცხლეში სამშობლო ქვეყანას არ მოშორებია.

⁂

ერთს დროს ძლიერ იყო გავრცელებული აზრი, რომ საჭმელს დიდი გავლენა აქვს ადამიანის სიცოცხლეზე, ხოლო ყველა საჭმელს-კი არა. ხორცი, მაგალითად, სრულიად აითვალწუნეს, მოიძულეს და კინაღამ სრულებით არ განდევნეს კიდეც,—რა დანაშაულობის გულისთვის?—ადამიანს სიცოცხლეს უმოკლებსო. ყოველ გვარი საჭმელად გამოსადეგი მცენარე-კი, პირ-იქით, დიდს პატივში იყო, დიდის ქება-დიდებით იხსენიებოდა:—ეს საჭმელი ხანგრძლივს სიცოცხლეს აძლევს ადამიანსაო. და რა აღმოჩნდა-კი?—ისა, რომ ინგლისში ყველას, ვისაც-კი ას წლამდე მიუღწევია, თითქმის მარტო ხორცი უხმარია საჭმელად და ბევრიც უხმარია. მაგალითად, ერთს ასის წლის დედაკაცს ინგლისში ისეთი საუცხოვო მადა ჰქონია, რომ თითო ჯერზე სამს მოხრაკულს ვარიას შეექცეოდა თურმე. მხოლოდ ის-კია, რომ სმით ძალიან ცოტასა ჰსვამდა და ღვინოს ხომ თავისს დღეში ახლო არ მიჰკარებია.

მაგრამ აი იმავ ინგლისში ას ოთხის წლის მამაკაცი, რომელსაც სასმელების გემოცა სცოდნია და პატივიც იმოდენა ჰქონია, რომ იმაზედ მეტი უსვამს, რაც ადამიანის სტომაქს შეუძლიან აიტანოს.

ამ მაგალითებზე შევდგეთ. სხვების ჩამოთვლა საჭირო აღარ არის. საკმაოა გითხრათ, რომ, როგორც მაგალითებიდამა სჩანს, ას წელიწადს და მეტსაც სცოცხლობენ მდიდარნიცა და ღარიბნიც, უფრო-კი ღარიბნი, მაგარის აგებულებისანიცა და სუსტის აგებულებისანიც, ჩასხმული, ჯმუხიცა და გამხდარი, მჭლეცა, მაგარის კბილების პატრონიცა და სრულიად უკბილოც.

ერთის სიტყვით, ყველა იმ მაგალითებისაგან, რაც ინგლისსა და საფრანგეთში შეუკრებიათ ას წლოვანებზე, მხოლოდ ის გამოდის, რომ ადამიანის სხეულს, აგებულებას რაღაც თვისება აქვს და ეს თვისება ნებას აძლევს გაცილებით მეტს ხანს იცოცხლოს ადამიანმა, ვიდრე დღესა სცოცხლობს.

დონ-იაგო

ანნას ლენტზე: ქუთაისის „მეშჩანსკი სტაროსტას“ სოლომონ ცაგარეიშვილს; იგივე ორდენი სტანისლავის ლენტზე: ქუთაისის მაზრის სოფ. ლორინის საზოგადოების მამასახლისს ალექსი შელიძეს, სუჯუნის მამასახლისს გიორგი მაკალაძეს, გურიანთის მამასახლისს გლახუნ გაშნაძეს, ონის მამასახლისს ანტონ ბერიშვილს, ბეჩოს საზოგადოების მამასახლისს ხაიდარა კვიციანს, დარღელის საზოგადოების მამასახლისს მერაბა კვრელიას.

*** 15-ს ამ თთვისას ბუნებით მეცნიერებისა, ანტროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის მოყვარეთა საზოგადოებამ იდღესასწაულა ოც-და-ხუთის წლის იუბილეი თავისის არსებობისა და მოღვაწეობისა. ამ დღესასწაულზე საზოგადოებას, სხვათა შორის, ვერცხლის მენდლებით დაუსაჩუქრებია ბ-ნი ა. ხახანაშვილი საეთნოგრაფიო კვლევათათვის და ბ-ნი ე. ს. მარკოვი, რომელიც ამ წლის აგვისტოში არარატის მთაზე ავიდა.

*** სოფ. სხალდიდი (ტფილისის მაზრა): 13 ღვინობისთვეს სხალდიდს დაიწვა სახლი ქალაქის მცხოვრების დ. ისტამანოვისა. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არა სჩანს. გამოძიება სწარმოებს.

*** სოფ. აზანბურიდამ (ტფილისის მაზრა) გვწერენ: 14 ღვინობისთვეს, შუაღამისას, სოფელ აზანბურის შორი-ახლო რამდენიმე შეიარაღებული კაცი დაეცა სოფელ ბერთუბნის მცხოვრებლების ი. ბექტაშვილისა, ქ. კერატაშვილისა და სხვათა ცხვრის ფარას. შეიქმნა საშინელი თოფის სროლა. ბოლოს მწყემსები დაძლეულ იქმნენ, ყაჩაღებმა გაირეკეს 140-მდე ცხვარი და წავიდნენ. რამდენსამე დღეს შემდეგ ამ ვარეკილ ცხვართაგან 40-მდე სული ჩამოერეკნა ერთ ავაზაკთაგანს ქალაქში და არხეინად ჰყიდდა. ეს კაცი იყო სოფ. თაქლას მცხოვრები მ. ბაირამაშვილი. მწყემსებმა იცნეს ავაზაკი და პოლიციას აცნობეს, რომ იგიც ერია ხსენებულს ავაზაკთა გუნდში. პოლიციამ შეიპყრო ეს ავაზაკი და გამომძიებელს გარდასცა.

*** ჩვენ გვატყობინებენ, რომ 19 ღვინობისთთვეს ღრმა ღელეში (ტფილისს ახლოა) სამი კომბლებიანი თათარი საღამო ჟამს დაეცნენ სოფ. კველიანის (დუშეთის მაზრაშია) მცხოვრებელს ფოცხვერა დიდებაშვილს, სცემეს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, წაართვეს ცხენი, ხანჯალი, თოფი, ათი მან. ფული და მოკვლაც უნდოდათ, მაგრამ ავაზაკებს შემოესმათ მოგზაურების ხმა და გაიქცნენ. საწყალი გლეხი წუხილითა და ტირილით მივიდა ქალაქის მაზრის უფროსთან და მესჩივლა თავისი უბედურება.

*** ხიდისთავიდამ სწერენ გაზეთ „Нов. Обоз.“: ამას წინად მაზრის უფროსის განკარგულებით გამოიყვანეს ხალხი სოფელ ახალქალაქიდამ ღვარებამდე გზის გასაკეთებლად. ხალხს გამოუცხადეს, რომ რვა დღის ვადით მიგვყევხართო. ხალხმაც რვა დღის საგძალი წაიღო თან და რაკი საჭმელი გამოელიათ რვა დღის შემდეგ, უკანვე დააპირეს წამოსვლა, მაგრამ გზის კეთების უფროსმა ხალხი არ გამოუშვა: ვიდრე დანიშნულს ადგილამდე არ მიიყვანთ გზას, არ გაგიშვებთო. მოჰყვა და ყველას წაართვა ნიჩბები, ბარები, წერაქვები და სხვა იარაღი. ამასაც არ დააჯერეს ხალხი. მიუსიეს ჩაფრები და დაუშინეს მათრახები. ზოგიერთი მუშა გლეხ-კაცი ძალიან ნაცემია ჩაფრებისაგან.

---

## გადასინჯვა კონსტიტუციისა საფრანგეთში.

ამ სათაურით გაზ. „Рус. Вѣд.“-ში დაბეჭდილია დასაწყისი დიდის წერილისა, რომელსაც ქვეშ აწერია სახელი და გვარი ე. დერიუჟინსკისა. ავტორი ამ წერილისა ამბობს, რომ 1875 წ. კონსტიტუციის გადასინჯვას დიდი მნიშვნელობა ექმნება საფრანგეთისათვის მომავალშიო. საფრანგეთში რომ ისეთის კანონიერებით მიმდინარეობდეს ცხოვრება, როგორც ინგლისში, კონსტიტუციის გადასინჯვა ანუ შეცვლა ზოგიერთის მისის მუხლისა გამოცდილებისა და ცხოვრების შესაფერად საიმისო დიდს ამბავს არას გამოიწვევდა. ინგლისში დიდი ცვლილება შეიტანეს რამდენჯერმე კონსტიტუციაში, მაგრამ არეულობა-კი არა მომხდარა-რა. ეს საქმე საშიშია საფრანგეთში, იმიტომ-რომ იქ ამ საქმეს უკავშირებენ მეორე საქმესაც. ეს მეორე საქმე ის არის, რომ ზოგს უნდა ხელ-ახლად სთქვას ერმა, რა გვარი მთავრობა სურს, სარესპუბლიკო თუ სამონარქიო. აი ამიტომ არის საშიში იქ გადასინჯვა კონსტიტუციისა, რომლის პროექტი უკვე წარუდგინა პალატას დღევანდელმა მთავარ-მინისტრმა ფლოკემ.

ამიტომაო, ამბობს დერიუჟინსკი, არ იქნება მეტი განვიხილოთ დღევანდელი კონსტიტუცია, ხოლო უწინარეს ამისა მოვიგონოთ, როდის და რა გარემოებათა შორის შეჰქმნა ერმა იგი კონსტიტუციაო.

მოგვყავს ჩვენც მოკლედ დერიუჟინსკის წერილიდამ ამოკრებილი ცნობანი დღევანდელის კონსტიტუციის თავ-გადასავალისა.

I

სედანი მიეცა ხელში მტერს. ეს იყო უკანასკნელი მოქმედება ნაპოლეონ III-მიერ დაწყებულის ომისა პრუსიის წინააღმდეგ. ამ ამბავმა დიდად აღელვა პარიჟის ხალხი, რომელიც წინადაც არ თანაუგრძნობდა ნაპოლეონის მიერ დაწყებულს ომს და დიდის მოუთმენლობით ელოდა ომის ამბებს. გაიგო თუ არა ეს ამბავი ხალხმა, შეცვივდა საკანონმდებლო კრებულის დარბაზში და მოითხოვა, რომ გადააყენეთ იმპერატორი და რესპუბლიკა გამოაცხადეთო. ერის სურვილი ასრულებულ იქმნა: 4 სეკტემბერს 1870 წელს გამოცხადებულ იქმნა რესპუბლიკა და შესდგა დროებითი მთავრობა «ერის დასაცველი». ამ მთავრობაში ათი კაცი იყო. ამ ათში დღეს ცოცხალია მხოლოდ ჟიულ ფერრი და ჟიულ სიმონი.

ძალიან გაუჭირდა საქმე ახალს დროებით მთავრობას. ან-კი როგორ არ გაუჭირდებოდა მოქმედება. ომი ჯერ გათავებული არ იყო. პარიჟს გარს მტრის ჯარი ერტყა. უმეტესი წილი საფრანგეთის მიწა-წყალისა პრუსიის ჯარს ეჭირა. ეთხოვათ სამარცხვინო ზავი და როგორ ეთხოვათ. მეტისმეტი თავის დამცირება იქმნებოდა. ჟიულ ფავრმა, რომელიც მაშინ გარეშე საქმეთა მინისტრად იყო, გამოაცხადა შემდეგი ცირკულიარი: „არც ერთს ფეხის დადგმა მიწას არ დავუთმობთ, არც ერთს ქვას ჩვენის ციხე-სიმაგრეებისას მტერს არ მივცემთო“. გამბეტტას გარს ერტყა მთელი ჯგუფი პატრიოტებისა და მასთან ერთად იძიებდა ღონეს ქვეყნის დაცვისას. მთავრობას იმედი ჰქონდა, რომ იქნება ევროპის რომელიმე სახელმწიფომ მხარი მოგვცეს, მოგვეშველოსო და ამიტომ გაგზავნა სახელმწიფო კართა დასავლელად ადოლფ ტიერი: იქნება როგორმე დავიყოლიოთ ევროპის სამეფო კარნი ჩვენდა მოსაშველებლადაო. მაგრამ ტიერმა ვერც ლონდონში, ვერც ვენაში და ვერც ფლორენციაში შესაფერი თანაგრძნობა ვერ ჰპოვა. ყველამ მხოლოდ ტკბილის სიტყვებით მოიშორეს თავიდამ საფრანგეთის მეოხად წასული. თუ ჰპოვა რამე, მხოლოდ ის ჰპოვა, რომ დაჰპირდნენ, მოგეხმარებით, როცა ზავის შეკვრაზე ჩამოვარდება ლაპარაკიო.

ტიერი დაბრუნდა და მოიტანა ამბავი, რომ უთუოდ უნდა მოვითხოვოთ ზავი და ამ დაზავების დროს დანიშნოთ არჩევანები საერო კრებისათვის და კანონიერის მმართველობის შემოსაღებადაო. დროებითი მთავრობაც ჰგრძნობდა ყველა ამის საჭიროებას, მით უმეტეს, რომ წესიერებას დაცვა ეჭირებოდა: აქა-იქ უკვე სარევოლიუციო არეულობამ იჩინა თავი. თვით ბისმარკიც არ იყო დაზავების წინააღმდეგი. ჯერ იმიტომ, რომ ამასაც უნდოდა მალე გაეთავებინა ომი, ერთის მხრით, და მეორეს მხრით კიდევ—ევროპიის სამეფო კარნიც ამასვე ითხოვდნენ. პირველ ხანად საქმე კარგად წავიდა, მაგრამ მეცის დაცემამ სულ შესცვალა საქმე. ბაზენის ღალატმა საშინლად აღელვა პარიჟი. კომუნის მომხრენი და სოციალისტები ქალხზე შესდგნენ, დაიწყეს ყვირილი „გაუმარჯოს კომუნასაო,“ შესცვივდნენ „ქალაქის სასტუმროში“ და იქ სცადეს ახალი მთავრობა შეედგინათ და საზოგადოების დახსნის კომიტეტი დაეარსებინათ. რამდენსამე დღეს შემდეგ კიდევ სცადეს ასეთი საქმე. ამ ამბავმა და აგრეთვე გამბეტტას ცხარე პროკლამაციამ მეცის დაცემის გამო უკან დაახევინა ბისმარკს და ძალიან გააჯიუტა. დროებითი მთავრობა არ დასთანხმდა იმ პირობაზედ, რომელიც ბისმარკმა წარუდგინა.

ამასობაში ომი არ თავდებოდა ფრანგები რამდენჯერმე კიდევ დამარცხდნენ. მტრის ჯარებ-შემორტყმული პარიჟი ითმენდა სიმშილსაცა და სიცივესაც და თანდათან იმედსა და სასოებას ჰკარგავდა. ბოლოს ველარ გაუძლო ყუმბარებს. 21 დღეს არღვიეს და ანგრიეს გერმანელებმა პარიჟი. მაშინ-კი მეტი ღონე აღარ იყო, მთავრობამ იარაღი დაჰყარა და მტერს კარი გაუღო (21 იანვარს 1871 წ.).

8 ფებერვალს არჩეულ იქმნენ წევრნი საერო კრებისანი. ასეთს გაჭირებაში არჩეული კრება მეტად სხვა-და-სხვა აზრების წევრთაგან შესდგა. უმეტესობა მონარქიელები აღმოჩნდნენ. პირველი საქმე კრებისა ის იყო, რომ ამოერჩიათ უფროსი წარმომადგენელი და ხელმძღვანელი მოლაპარაკებისათვის მტერთან და წესიერების ჩამოსაგდებად არეულს ქვეყანაში. ხმამ ერისამ დიდებულის მანიფესტაციით დაასახელა მაშინ ის კაცი, რომელსაც შეეძლო ასეთი მძიმე მოვალეობა ეტვირთნა: ადოლფ ტიერი 26 დეპარტამენტში იქმნა არჩეული დიდის ხმის უმეტესობით. მართლაც-და ტიერი თითქმის ერთად-ერთი კაცი იყო, რომელსაც შეეძლო მაშინ გაჭირებიდამ გამოეყვანა სამშობლო. საერო კრებამ ის აირჩია მთავრობის მეთაურად და მიანიჭა წოდება „საფრანგეთის რესპუბლიკის აღმასრულებელ ხელმწიფების უფროსობისა“. პრეზიდენტად არჩეულ იქმნა ჟიულ გრევი.

(შემდეგი იქნება)

---

## უცხოეთი

**ავსტრი-ვენგრია.** გერმანიის იმპერატორის ყოფნას ვენაში ის მოჰყვა, რომ ავსტრი-ვენგრიამ კვლავ მხნედ დაიწყო თავისის მხედრობის მზადება. სამხედრო საბჭოს ჰქონია კრება თვით იმპერატორის ფრანც-იოსების თავმჯდომარეობით და გადაუწყვეტია, როგორი ახალი სამხედრო კანონი უნდა იყოს შემოღებული. საბჭოს გადაუწყვეტია, რომ ჯარის რიცხვს მოემატოს და ვადა სამსახურისა ჯარში უფრო მეტი დაიდოს, ვიდრე აქამდე იყო.

საბჭოს გარდა თვით სამხედრო სამინისტრო სცდილობს შეასრულოს ის ვალდებულებანი, რომელნიც წინადვე ჰქონდა ნაკისრი. ამ ჟამად ამზადებს 15 ახალს ბატარეას სალანდვერო დივიზიებისათვის.

საერთო იმპერიის სამინისტროს უკან არ ჩამორჩომია ვენგრიაცა, რომლის დასაცველად დაწესებულს სამინისტროს განუზრახავს 20 ახალი ესკადრონი მიუმატოს გონვედის ჯარს, გაამრავლოს ქვეითის ჯარის რიცხვიცა და ძველის თოფების მაგიერ დაურიგოს მხედრობას ახალი თოფები.

ასეთს მზადებაშია დღეს ავსტრი-ვენგრია, ასე მხნედ მუშაობს ავსტრი-ვენგრიის მთავრობა და ვნახოთ, ხვალინდელი დღე რას მოიტანს.

**გერმანია.** ბრესლაველში სიტყვა წარმოუთქვამს ლიბერალს ალექსანდრე მაიერს და იმაზე ულაპარაკნია, თუ როგორ უყურებს ლიბერალთა დასი ეხლანდელს იმპერატორს და იმისს მეფობას გერმანიაში. ჩვენ გვისაყვედურებენო, სთქვა ორატორმა,— ვითომ იმიტომ ვიხსენიებთ დიდის პატივის-ცემითა და სიყვარულით ფრიდრიხ III-ეს, რომ ამით ნათლად დავამტკიცოთ, რა უგულოდ ვუყურებთ დღევანდელს მეფობასა და ფრიდრიხ III შვილსაო. ეს ტყუილია, ცილის წამებაა. ჩვენ დიდის პატივის-ცემით ვექცევით გერმანიის იმპერატორს და გულ-წრფელად თანავუგრძნობთ, როგორც შვილს დაუვიწყარის ფრიდრიხისას. საგარეო საქმეებში იმპერატორმა ვილჰელმ მე-II-მ ყველაფერი გააკეთა, რის გაკეთებაც-კი შეიძლებოდა მშვიდობიანობის დასაცველად ევროპაში. მე შემიძლიან დავსძინო კიდევ, რომ ჩვენ დიდი ნდობა გვაქვს ახალგაზდა მონარქისა, გვწამს იმისი მართალი ხასიათი. რასაკვირველია, ჩვენ იმისი იმედი არ უნდა გვქონდეს, რომ იმპერატორის აზრები და ჩვენი ერთმანეთს მიემსგავსებოდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ შეასრულებს ყოველსავე, რასაც დაჰპირდა ერს ტახტზე ასვლის დროს, იქნება მეფე ყველასი, მოისმენს თავისის მინისტრების მოქმედებათა კრიტიკულად განსჯასა და მიუკერძოებლად განიკითხავს ყველას.

---

## დედაკაცი

გაზ. „Русскій Курьеръ“-ში დაბეჭდილია ამ სათაურით წერილი ვიღაც ბარბარე გ—სისა. ვგონებ ჩვენთა ქალთათვისაც საყურადღებო უნდა იყოს ამ წერილის შინაარსის მოკლედ მაინც გაცნობა. ავტორი პირველში ამბობს, რომ დიდხანს უნდა გაევლო, ვიდრე შუა საუკუნოების გავლენას მოიცილებდა ქალი თავიდგან, რადგან ეს გავლენა მეტად ძლიერი იყო, ისეთი ძლიერი, რომ ახლაც-კი ხელ-ფეხს უკრავს დედათა სქესს და საშუალებას არ აძლევს, რომ სრული თავისი ხასიათი გამოიჩინოს და თავი დაანახვოს ქვეყანას ფერ-უმარილ წაუსმელადაო.

დასავლეთს ევროპაში საშუალ საუკუნოების დროს დედაკაცი მეტად სძულდათ. რომ ეს ასე იყო, ავტორს მოჰყავს წმ. ანტონინის სიტყვები დედაკაცის შესახებ: „დედაკაცი თავია დანაშაულისა და ბოროტებისა და სული ტარტაროზისა. როცა დედაკაცს ჰხედავ, იცოდე, რომ შენს წინა სდგას არა ადამიანი, არა გარეული ნადირი, არამედ თვით ტარტაროზი“.

შემდეგ ავტორი გადადის იმისს მოთხრობაზე, თუ რა გვარს მდგომარეობაში იყო დედაკაცი რუსეთში. რუსეთში იქამდე უღირსად მიაჩნდათ დედაკაციო, ამბობს იგი:—რომ მასთან ლაპარაკიც-კი ეძრახებოდათო, დედაკაცი მამაკაცზედ დაბლა იდგა და თითქმის უწმინდურიც-კი იყო. ასეთი შეხედულობა თითქმის დღევანდლამდე არ ამოფხვრილა ჯერ რუსეთის ერში. რუსები ძველად ასე სჯიდნენ: „რა არის დედაკაცი?—იგია მახე, ადამიანის (ვითომ-და მამაკაცის) მაცდუნებელი სილამაზით, თვალთა მშვენიერებით, ლამაზის თმაშითა და მიხვრა-მოხვრით; მან უკვე დაჰღუპა ბევრნი, იმიტომ-რომ ქალის სილამაზის გამო ბევრნი შესცდებიან ხოლმე და სიყვარული სასმილსავით აღენთებათ“.

ამისთანა შეხედულობის გამო რუსის დედაკაცმა თან და თან ქვევით დაიწია, თავისუფლებას მოესპო ოჯახსა და საზოგადოებაში და უკიდურესად დამცირებულ და დამონავებულ იქმნა. შეძლებულნი და ხარისხოვანნი კაცნი დედაკაცებს, და განსაკუთრებით უმაწვილს ქალებს, დაკეტილში ინახავდნენ. პეტრეს წინა დროინდელი უმაწვილი ქალები კაცს გათხოვებამდე თვალით ვერ დაინახავდნენ და არც ქმრის ავ-კარგიანობის გამოძიებაში შეეძლოთ შესვლა.

როცა გათხოვდებოდა უმაწვილი ქალი, ე. ი. მეუღლე, ოჯახის დედა შეიქმნებოდა, ყველაფერში ქმრისაგან იყო დამოკიდებული, ეკკლესიაში წასვლაც რომ სდომებოდა, ქმარს უნდა დაჰკითხებოდა, ქმრის ნება-რთვა უნდა აეღო. მაშინდელნი კეთილ-გონიერნი კაცნიც-კი იმ აზრისანი იყვნენ, რომ დედ-მამამ ქალიშვილი შიშში უნდა იყოლიოს, ე. ი. ხშირად წაუსვ-წამოუსვას ხოლმე და დასაჯოს, რათა არ გაზვდოს და ქალწულობა არ დაჰკარგოსო. და აი, მშობლები ქალს სცემდნენ გაუთხოვრობის დროს, ხოლო როცა გათხოვდებოდა, ქმარი დაუწყებდა ცემას. რადა?—როგორ თუ რადაო, გიპასუხებდათ მაშინდელი ქმარი და ისე გაუოცდებოდა, რომ თვალებსაც-კი წამოაჭყეტდა.

— ცოლს რომ არა ვცემო, ხომ ვერაფერს-და ვასწავლი. მერე და როგორ არ ვასწავლო დედაკაცს, დედაკაცი

ხომ ჭკუა მოკლეა, სულელი. რომ არ გასწავლო, ჩემს სახლს ვიღა მოუვლის, ხომ აირია და შეიშალა ოჯახის წესი და რიგიო!.. აი ლოგიკა ამ მველის ჩვეულებისა.

საზოგადოდ ცოლისა და ქალიშვილის ცემით გაწვრთვნა ჩვეულებრივი ამბავი იყო რუსეთში. იმასაც-კი ასახელებდნენ, რა უნდა ეხმარათ კაცებს ცოლის ცემისათვის. სილვესტრის წიგნის წინად, რომელიც ურჩევს კაცებს, რომ ცოლს სახესა და თვალებზე ნუ სცემთ, ნურც ჯოხით და ნურც მუშტით, მათრახით გააჭრელეთ ხოლმე ზრდილობიანად: კეთილ-გონიერებაც მოითხოვს ამას, შიშის საგრძნობელადაც კარგია, სტკენს კიდეც და არც ჯანმრთელობის მავნებელიაო,—ამ წიგნის წინად ჯოხი და წკეპლა გაცხარებულს მოქმედებაში იყო ცოლთა და ქალთა გასაწვრთვნელად. რუსეთის ხალხი ზნეობრივად მაშინ მალიან მოუხეშავი იყო და ამ მოუხეშაობას ქალის ამ გვარი მდგომარეობაც ამტკიცებს. ჭურჭელი წმინდა და თავდადებულის სიყვარულისა ჭურჭელი იყო ყოველისავე ბოროტისა და უწმინდურებისა და დამარხული ჰქონდათ ბნელსა ხაროსა. ხოლო, ვითარცა მველმა ღვინომ, სიყვარულმა გაარღვია ჭურჭელი ესე და კეთილ-სურნელოვან წყაროდ დაიწყო დენა...

დასავლეთს ევროპაში ამ საუკუნემდე ცოტა უფრო უკეთესს მდგომარეობაში იყო დედაკაცი. ჯერ ამ საუკუნეშიაც ისმოდა ქვემოხსენებულისთანა აზრები: „დედაკაცმა მხოლოდ იმიტომ უნდა ისწავლოს, რომ ქმარს ასიამოვნოს და ის ნაზი მოვალეობა აღასრულოს, რომლის აღსრულება ბუნების მიერ გალად აქვს“,—სწერს მანეშალი. „დედაკაცი მით უფრო პატივსაცემია, რაც უფრო ბევრი შვილი უჩუქებია ქვეყნისათვისაო“,—ზიზღით ამბობს ნაპოლეონი. „დედაკაცი ბუნებითვე ჭკუა მოკლე და სულელია“,—სწერდა ყორყზანდი.

ხოლო დასავლეთსა და ჩვენშიაც ქალთათვის უმაღლესი განათლება გაიმართა, ქალებმაც გამოიჩინეს ნიჭი სწავლისა და ცოდნის შეძენისა. 1860 წ. ქ-ნმა შენიომ მიიღო წოდება სამათემატიკო მეცნიერებათა კანდიდატისა, 1868 წელს ქ-ნმა გონჩაროვისამ პარიჟში მიიღო დიპლომი მათემატიკის მაგისტრისა. ხოლო რამდენმა მეცნიერმა და განათლებულმა ქალმა იჩინა რუსეთში თავი, ყველას კარგად მოეხსენება.

ეხლა-კი კაცები ერიდებიან ისეთს ქალებს, რომელნიც რიგიანს საქმეს ადგიან რასმე და სცდილობენ სათამაშონივთეობას თავი დააღწიონ და ადამიანები შეიქმნენ.

ამას შემდეგ ავტორი ამბობს, რომ მირეულად უნდა შეიცვალოს დედათა განათლება, როგორც ოჯახობრივი, აგრეთვე საზოგადო, იგივე უფლებანი უნდა მიენიჭოთ, რაც კაცებსა აქვსთ, და უმაღლესის განათლების მიღების ნებაც უნდა ჰქონდეთო. ქალებს უნდა ჰქონდეთ უფლება სწავლულად ყოფნისა, პედაგოგობის, ექიმობისა, ვექილობისა და მოხელეობისა. ქორწინება ორთა თავისუფალთა და ერთმანეთის სწორთა ადამიანთა შორის შეკრული ერთად ცხოვრების პირობა უნდა იყოს და არა ბორკილი. უნდა დაკანონდეს დედაკაცის დამოუკიდებლობაო, დედაკაცის თავის უფლებაში მდგომარეობს რუსეთის ცხოვრების განახლება და გაუკეთესებაო.

# დეპეშა

21 ოქტომბერი

პეტერბურგი. იმპერიის ყველა ქალაქებიდგან იუწყებიან, რომ დიდის ამბით გადაიხადეს პარაკლისი მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა მშვიდობით გადარჩენის გამო განსაცდელისაგან. ევროპის ყველა დედაქალაქების საელჩო ეკკლესიებში გადაიხადეს სამადლობელი პარაკლისი ევროპის ხელმწიფეებმა გამოუგზავნეს ხელმწიფე იპერატორს მილოცვის დეპეშები.

გუშინ ჩამოიყვანეს დაჭრილები საიმპერატორო მატარებლის დამსხვრევის დროს. მძიმედ დაჭრილები ცოტანი არიან; ზოგიერთები თავ-თავის სახლში წავიდნენ. დახოცილებს დღეს მოასვენებენ საგანგებო მატარებელით.

გაზეთები იუწყებიან, რომ მინისტრებს პოსიეტს და ვანოვსკის, გენერლებს ჩერევინს და ზინოვიევს და პოლკოვნიკს შირინკინს მსუბუქი ნატკენობა დამჩნევიათ. უფრო მძიმედ ნატკენია ფლიგელ-ადიუტანტი შერემეტიევი.

მოსკოვი. ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა, როცა მათნი უდიდებულესობანი უავგუსტოესის სახლობითურთ მობრძანდნენ აქ. სანამ მატარებელი მოვიდოდა, აუარებელი ხალხი შეიკრიბა. რკინის გზის სადგურთან კრემლამდე მათნი უდიდებულესობანი ისხდნენ თავ-ახდილს ეტლში, ხოლო უავგუსტოესნი ძენი დახურულში ხალხში ხანგრძლივი და შეუწყვეტელი „ურას“ ძახილი ისმოდა; ამას ერთობოდა ზარების რეკა სამღვდელოება ელოდებოდა ეკკლესიების შესავალში. მათნი უდიდებულესობანი, ემთხვივნენ რა ივერიის ღვთის-მშობლის ხატს, წაბრძანდნენ ჩუდოვის მონასტერში, სადაც გამწკრივებულნი იყვნენ უნივერსიტეტის სტუდენტები და სხვა-და-სხვა სასწავლებელთა მოსწავლენი. შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ მთავარ-ანგელოზისა და მიძინების მონასტრებში და გაბრძანდნენ რა «კრასნოე კრილცოზე», ხალხს სალამი მისცეს. ოთხს საათსა და ორმოცს წუთზე საიმპერატორო მატარებელი გატჩინოს წავიდა.

პეტერბურგის ბირჟა, ოქტომბერი.

| | მოთხოვნილება. | გამყიდველობისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7 55 | — „ | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | — „ | 152 |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | 1 16 | — „ | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | — „ | — „ | 267½ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 239½ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . | — „ | — „ | — „ |

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპჱ (1888) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7396.
ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უპ=480 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მდ=44 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.
1888 წლის ზედ-ნადებია—25.

ღვინობისთვე 31 დღით არის

22 დღე შაბათი. ყოვლად წმ. ყაზანის ღვთის-მშობლის ხატის დღესასწაული. კათოლ. მარკისა და სევერინისა. სომეხ. თორმეტთა მასწავლებელთა ეკკლესიისათა: სდიონოსიისა, ილიბისტროსი, ათანასესი, კირილესი და სხვ. მაჰმად. მე-29 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—35, ჩადის 4—52. მთვარე 29 დღისაა.

23 დღე კვირა. მოციქ. იაკობისა, უფლის მმისა, და წმ. ეგნატესი. კათოლ. იოანნასი. სომეხ. წმ. ჯვრის პოვნა. ქორწინებათა ნება ეძლევათ. მაჰმად. მე-30 რიცხვი თვისა საფარისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—დაიწყეს ფოთის ნავთ-სადგურის შენება, 1863 წლს.—დამტკიცებულ იქმნა წესდება საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა, 1871 წ.—ჭეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—36, ჩადის 4—51. დაბადება მთვარისა დილის 3 საათსა და 6 წუთ.

24 დღე ორშაბათი. მოწ. არეთისა და ათანასესი. კათოლ. მთავარ-ანგელოზის რაფაელისა და ოლიმპისა. სომეხ. ანასტასიასი. მაჰმად. 1-ლი რიცხვი თვისა რებიულ-ახირისა, 1306 წ. ჰიჯრისა.—ჭეშმარიტი შუადღე 11—44. ტფილისში მზე ამოდის 6—37, ჩადის 4—50. მთვარე 2 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ოქტომბრიდამ 1 ნოემბრამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. . | 5 | კაპ. |
| პური 1-ის ხარისხისა. . | 3½ | „ |
| „ 2 „ | 3 | „ |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | „ |
| „ „ 2— | 4 | „ |
| „ „ 3 „ | 3½ | „ |
| ჯვარის მამის პურის ლავაში 1-ლის ხარისხისა . . | 5 | „ |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | |
| მე-3 — . . . | „ | „ |
| მროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| „ 2 „ | 7 | „ |
| სუკი . . . . | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 8 | „ |
| ღორის ხორცი . . . | „ | „ |
| „ 2 „ | „ | „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარგარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამ, შაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით-ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულ. კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.
ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები.


გამოვიდა და ისყიდება «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში
ვალიკო გუნიას მიერ შედგენილი და გამოცემული
**სახალხო კალენდარი**
1889 წლისა.
ფასი ორი შაური.

ამ მოკლეს ხანში გამოვა იმავე გუნიას დიდი და ვრცელი „საქართველოს კალენდარი“. 10—10

კერძო ექიმი
**პრეობრაჟენსკი**

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნევრესის სნეულებას, ნევრესის ქარსა და კონტრაქტურას (გაზავის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.
ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებასა და სიფილისს. ავადმყოფებს მიიღებს ყოველ-დღე: დილით 9 საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.
ადრესი: მიხაილოვის ქუჩა, ბექნაოვის, სახლი, № 103. (10—6)

ამიერ-კავკასიის უმთავრესი ცნობათა კანტორა
(Закавказская центральная справочная контора)
შ. ვ. დავიდოვისა.

ეს ერთად-ერთი კანტორაა ქ. ტფილისში, რომელსაც მთავრობისაგან ნება-დართული აქვს და რომელსაც აქვს შეტანილი საზინაში.

კანტორასა აქვს საგნად შეჰკრიბოს და მოიპოვოს ყოველ გვარი ცნობა, რომელიც-კი საჭიროა და სასარგებლო ვისთვისმე. კანტორას ეცოდინება, სად, რომელი, ვისი და როგორი მამული ისყიდება, გირავდება, ან იჯარით და ქირით იძლევა და რა ფასად; ვის უნდა სახლი დაიქირაოს, ან გააქირაოს ქალაქში, ანუ ქალაქ გარეშე; სად რა ბანკები, ანუ სავაჭრო და სატრანსპორტო დაწესებულებანი არიან და რა წესები აქვსთ შემოღებული თავიანთს საქმეში; ვინ ეძებს და ვის უნდა იშოვნოს საადვოკატო, სამწერლო, სამასწავლებლო და სხვა ამ გვარი საქმე: ანუ მუშაობის, პრიკაზჩიკების, მოახლის, მოსამსახურის ადგილი და სხვა.

არზებისა და სხვა ქაღალდების შედგენა.

ქ. ტფილისი, თავად-აზნაურობის ბანკის ქარვასლა (არწრუნისეული), თეატრის ქვეშ (Г. Тифлисъ. Караванъ-сарай Двор. Банка, бывшій Арцруни, подъ театромъ).

**დედა-ენა და ბუნების კარი**

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ
ისყიდება
„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც პსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას:
Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, №№ 109 და 110.

რვეულები ქართულის წერისათვის,

გოგებაშვილის დედანთან სახმარებელი, დაიბეჭდა და გამოვიდა პირველი და მეორე ნომერი. მესამე ნომერიც მზადდება.

ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა, ხიდეკელისა და იზმიროვის მაღაზიებში და აგრეთვე „წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში; ქუთაისში—ჭილაძეებთან

ფასი რვეულისა ერთი შაური.

ასპიდის ფიცრები ქართულის წერისათვის ისყიდება იზმიროვისა, გრიქუროვისა და ხიდეკელის მაღაზიებში და „წერა-კითხვის“ კანცელარიაში. (6—9)


Доз. ценз. Тифлисъ, 21-го Октября 1888 года. სტამბა გ. გ. მესხისა, (Типографія Е. Г. Месхи). на Фрейлинская ул. пом. Т. Д. З Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძ